ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები

თბილისი 2025

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკას და ნორმებს, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის ყველა პროცესის ეფექტურ მართვას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვას.
1.2. წინამდებარე წესის დაცვა სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომლებიც თავის ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო საქმიანობაში იყენებს აკადემიის ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

მუხლი 2. ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის პროცედურები

2.1. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება აკადემიის მიმდინარე და დაგეგმილ პროცესებს.
2.2. აკადემიის ადმინისტრაციის ოთახები, სასწავლო აუდიტორიები და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო სათანადო პარამეტრების, პროგრამულად უზრუნველყოფილი აღჭურვილი კომპიუტერებით.
2.3. აკადემიაში თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის გამოყოფილია კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების გონივრული ოდენობა.
2.4. სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციული, სასწავლო პროცესის და ბიბლიოთეკის კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში.
2.5. აკადემიაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი.
2.6. აკადემიაში შექმნილი IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას ადმინისტრაციის ოთახებში, სასწავლო აუდიტორიებში, კომპიუტერულ ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში.
2.7. სასწავლო კომპიუტერებში ჩატვირთულია ყველა ის კომპიუტერული პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2.8. აკადემიის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი ქსელის, კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების გამართულად მუშაობას, აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შეფასებას, რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას და საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას უზრუნველყოფს აკადემიის პარტნიორი კომპანია.
2.9. აკადემიის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისათვის, იძლევა ყველა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/პერსონალის მიერ თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას.
2.10. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობებით სარგებლობის უფლება აქვს შესაბამისი მოდულის პროფესიული მასწავლებლის მეთვალყურეობით.
2.11. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს/პერსონალს გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აკადემიის IT ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ დირექტორის თანხმობის შემთხვევაში.
2.12. პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/პერსონალზე IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობაზე თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო ან/და სამუშაო პროცესს და გამოყენების მიზნობრიობიდან გამომდინარე, არ გამოიწვევს მათ შესაძლო დაზიანებას ან არამიზნობრივ გამოყენებას.
2.13. აკადემიის ადმინისტრაციის და სასწავლო პროცესის მართვაში ჩართულ კომპიუტერებში ინახება მნიშვნელოვანი ინფორმაცია (ინფორმაციული აქტივები).
2.14. აკადემია უზრუნველყოფს ორგანიზაციის ინფორმაციული აქტივების (ინფორმაციულ სისტემებში მიღებული, შენახული, დამუშავებული თუ გადაცემული ინფორმაციის) უსაფრთხოებას და დაცულობას IT რისკებისაგან.

2.15. აკადემია ახორციელებს IT რისკების მართვას არა მარტო ანტივირუსის მეშვეობით, არამედ იყენებს ინფორმაციის შენახვის სხვადასხვა შესაძლებლობებს, როგორიცაა გარე ფლეშმეხსიერება, Google drive.

მუხლი 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასება და IT რისკების მართვა

3.1. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი.
3.2. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს რისკების დასაშვებ დონეზე დაყვანისათვის რისკების მართვის ანალიზს, რეაგირების არ ქონის შემთხვევაში შესაძლო უარყოფით მოვლენებს.
3.3. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს:
3.3.1. რისკების იდენტიფიცირებას;
3.3.2. რისკების შეფასებას იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ აკადემიის ფუნქციონირებასთან მიმართებაში;
3.3.3. რისკების დადგომის ალბათობას და მათ შესაძლო შედეგებს;
3.3.4. რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართული დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა რისკების მართვის შესახებ;
3.3.5. რისკების მართვის პროცესის მონიტორინგსა და განხილვას;
3.3.6. რისკების მართვისადმი მიდგომის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვებას;
3.3.7. პერსონალის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინფორმირებულობას რისკებისა და მათი შემცირების შესახებ.
3.4. რისკები ფასდება პარტნიორი კომპანიის მიერ აკადემიის IT რესურსის შესწავლით, აკადემიის დირექტორთან და თითოეულ ინფორმაციულ რესურსთან დაკავშირებულ პერსონალთან კოორდინირებული მუშაობით.
3.5. რისკების შეფასება განსაზღვრავს ინფორმაციული აქტივების ფასეულობას, ახდენს მოსალოდნელი საფრთხეების და არსებული (ან შესაძლო) სუსტი წერტილების, უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს არსებული კონტროლის მექანიზმს და მის გავლენას აღმოჩენილ რისკებზე, ასევე განსაზღვრავს პოტენციურ უარყოფით შედეგებს და საბოლოოდ ანიჭებს პრიორიტეტებს გამოვლენილ რისკებსა და ახდენს მათ კლასიფიცირებას კონკრეტულ გარემოში.
3.6. რისკების შეფასების პროცედურის შემდეგ ხდება დირექტორისა და შესაბამისი პერსონალის ინფორმირება, საჭიროების შემთხვევაში ტარდება ინსრუქტაჟი თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.
3.7. IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი ქსელის, კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების გამართულად მუშაობის, პროგრამული უზრუნველყოფის გეგმიური შემოწმება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ერთჯერ.
3.8. რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება ხორციელდება პერიოდულად (საჭიროებიდან გამომდინარე).
3.9. დაზიანების ან სხვა პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში პარტნიორი კომპანია უმოკლეს ვადაში მოაგვაროს შესაბამისი პრობლემა.
3.10. საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პარტნიორი კომპანია სასწავლო პროცესის განმავლობაში მინიმუმ ერთჯერ შემოწმების და რისკების შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება ხარვეზების და თანმდევი უარყოფითი შედეგების მიზეზების განსაზღვრა, გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა: რაოდენობრივი (საკმარისობა), ხარისხობრივი (შესაბამისობა). იგი შეიძლება ითვალისწინებდეს აღდგენისათვის საჭირო დანახარჯებს, პერსონალის გადამზადებას და სხვა.

მუხლი 4. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.